

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 6 7 სექტემბერი 2017 წ.

ბრძ. №01-01/59 8 სექტემბერი 2017 წ.

რექტორი

გიორგი მათიაშვილი

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)

თბილისი
2017

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

მუხლი 1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის პრინციპები

1. შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში“ (შემდეგში „გთუნი“) აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაძლო მაქსიმალურ რაოდენობას განაპირობებს:

1.1. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის ადამიანური რესურსის სამიზნე ნიშნულები:

- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრულ რაოდენობის და თანაფარდობა არ აღემატება 1/20;
- მოწვეული პერსონალის თანაფარდობა აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან მიმართებით არ აღემატება 1/1;

1.2. საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა (პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი საერთო აკადემიური საათების რაოდენობა).

1.3. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის ადამიანური რესურსის სამიზნე ნიშნულებიდან გამომდინარე გთუნი-ს სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვროს 2000-ით, აკადემიური პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა 80-ით, ხოლო სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა 80-ით.

მუხლი 2. აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი გადანაწილების წესი

1. გთუნი-ში განსაზღვრული აკადემიური პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა აკადემიური თანამდებობების მიხედვით (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი) გადანაწილდება საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროების, სამეცნიერო-კვლევებისა და ბიუჯეტის გათვალისწინებით.

2. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განსაზღვრული აკადემიური პერსონალის რაოდენობა გადანაწილდება ფაკულტეტების/კათედრების მიხედვით მოცემულ პროგრამებზე მათ მიერ შესასრულებელი აკადემიური საათების პროპორციულად.

მუხლი 3. აფილირებული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა

1. აფილირებული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს არსებული აკადემიური პერსონალის 75%-ზე ნაკლები.

მუხლი 4. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ინიციატივის საფუძველზე, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ამოქმედდეს რექტორის მიერ ხელმოწერისთანავე.
2. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიმართოს რექტორს აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.